<p>მოსმენის სტრატეგიები:</p> <p>გაცნობითი მოსმენა;</p> <p>სელექციური მოსმენა;</p> <p>შესწავლითი მოსმენა:</p> <p>მიბრუნება ტექსტთან;</p>	<p>Activité 1. Écoute et dis de quel type de document il s'agit.  Activité 2. Écoute et associe les images aux mots entendus dans le document.  Activité 3. Écoute l'interview et réponds aux questions: Combien de personnes parlent dans le document? Qui parle à qui? De quoi parlent-ils? Quelle est l'activité préférée de Thomas? Il joue au football souvent? Pourquoi il a choisi le football ? Est-ce qu'il aime regarder le sport à la télé?  Activité 4. Écoute l'interview sur les loisirs de Thomas et réponds: vrai ou faux?  Activité 5. Écoute encore et associe les questions et les réponses.  Activité 6. Par deux, lisez les questions et retrouvez les réponses.  Activité 7. Numérote les activités de loisirs dans leur ordre d'apparition.  Activité 8. Complète le texte avec les noms des activités que tu entends.  Activité 9. Relève les mots qui expriment la fréquence.</p>

<p><b>გამოცნობა:</b> უცნობი სიტყვების/შესი ტყვეების ამოცნობა ნაცნობ ელემენტებზე (კონტექსტი, საერთაშორისო სიტყვები, ნაცნობი ფუძე და სხვ.) დაყრდნობით.</p>	<p>Activité 10. Confirmer-tu les hypothèses initiales que tu viens de formuler?</p> <p><b>ბიჯი 4.</b> ტექსტის პირველი მოსმენა ემსახურება ტექსტის ზოგადი შინაარსის გაცნობას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლე ყურადღებას ამახვილებს ნაცნობ სიტყვებსა და გამოთქმებზე, არავერბალურ ელემენტებზე; ამოიცნობს ტექსტის ტიპსა და საკომუნიკაციო სიტუაციას ხმის ტემბრსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით (Activités 1, 2, 3);</li> </ul> <p><b>ბიჯი 5.</b> სხვადასხვა ტიპის აქტივობის გამოყენებით ტექსტის მრავალჯერადი მოსმენის შედეგად მოსწავლე ახდენს მთლიანი შინაარსის ეტაპობრივ კონსტრუირებას (Activités 4-10);</p> <p><b>მოსმენის სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჩანიშვნების გაკეთება;</li> <li>• ინფორმაციის დაჯგუფება, ორგანიზება სხვადასხვა გრაფიკის, სქემის გამოყენებით;</li> <li>• გაუგებარი მონაკვეთის თავიდან მოსმენა;</li> <li>• უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით;</li> <li>• სელექციური მოსმენა - ყურადღების მიზანმიმართულად გამახვილება კონკრეტულ ინფორმაციაზე.</li> </ul>
	<p><b>ფაზა: მოსმენის შემდეგ (Post-écoute)</b></p> <p><b>საკვანძო შეკითხვები:</b> როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას? რამ შემაფარბა გაგების პროცესში? რატომ ვერ გადავჭერი მოსასმენი პრობლემა? როგორ უნდა გადამეჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი მოსასმენი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში?</p>
<p><b>მოსმენის სტრატეგიები:</b>  <b>შესწავლითი მოსმენა;</b>  <b>შეკითხვების დასმა</b> (მონაკვეთების</p>	<p>Activité 1. Réponds aux questions : Et toi, est-ce que tu aimes le foot? Est-ce que tu aimes regarder les matchs à la télé? Et les membres de ta famille? Tu aimes les jeux d'équipe ou tu préfères les jeux individuels? Quelles autres activités aimes-tu faire?</p> <p>Activité 2. Prépare et joue avec ton copain/ta copine une interview sur vos loisirs préférés.</p> <p>Activité 3. Retrouve la phrase qui résume le mieux le document parmi les phrases suivantes.</p> <p>Activité 4. Fais l'autoévaluation en répondant aux questions: Qu'est-ce qui a été facile/difficile pour toi? As-tu fais attention aux mots-clés / au ton de la voix ? Comment tu peux améliorer ta compréhension? Aimes-tu faire ce type d'activité ? Pourquoi?</p>

<p>ერთმანეთთან დასაკავშირებლად);</p> <p><b>ინფორმაციის დაჯგუფება;</b></p> <p><b>შეჯამება;</b></p> <p><b>მეტაკოგნიტური პაუზა:</b></p> <p>სწავლის პროცესზე დაფიქრება;</p> <p>გამოყენებული სტრატეგიის შეფასება.</p>	<p><b>ბიჯი 6.</b> მოსწავლის მიერ გაგებულის გადამოწმება ხდება შეკითხვების, რეფორმულირებების, კომენტარების დახმარებით და აჯამებს მოსმენილს (Activité 3);</p> <p><b>ბიჯი 7.</b> მოსწავლე მოსმენილს აკავშირებს საკუთარ გამოცდილებასთან და ნააზრევს უზიარებს სხვებს (Activités 1-2);</p> <p><b>ბიჯი 8.</b> მოსწავლე აკეთებს მეტაკოგნიტურ პაუზას, რათა დაფიქრდეს ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ სტრატეგიებზე, შეაფასოს მათი ეფექტიანობა და შეადაროს სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს; პოულობს ხარვეზებს და მოიძიებს მათი გაუმჯობესების შესაძლო გზებს (Activité 4).</p>
	<p><b>გარდამავალი ფაზა პროდუქციისაკენ (De la réception à la production):</b></p> <p><b>საკვანძო შეკითხვები:</b> როგორ მოვიქცე გართობის თემაზე ენობრივ-გრამატიკული მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?</p>
<p><b>გამეორება;</b></p> <p><b>ინდუქციური მიდგომა;</b></p> <p><b>დედუქციური მიდგომა.</b></p>	<p>Activité 1. Écoute et répète la conjugaison du verbe (verbes: <i>préférer, faire, sortir</i> au présent).</p> <p>Activité 2. Complète les phrases avec les verbes donnés.</p> <p>Activité 3. Relève dans le texte les expressions avec les verbes <i>jouer</i> et <i>faire</i>. Pense au verbe et à la préposition.</p> <p>Quelles expressions sont utilisées pour parler d'un jeu ? d'une pratique musicale ? d'une activité en général?</p> <p>Activité 4. Complète avec le verbe qui convient (Je .... au foot. Elle .... du violon. Nous ... de la danse.)</p> <p>Activité 5. Écoute l'enregistrement et complète le texte à trous avec les articles qui conviennent.</p> <p>Activité 6. Associe les questions et les réponses.</p> <p>Activité 7. Pose une question.</p> <p>Activité 8. Note les mots qui expriment les activités de loisirs.</p> <p>Activité 9. Note les expressions verbales utilisées pour décrire les actions.</p>

	<p>Activité 10. Relève les expressions utilisées par l'interviewé pour exprimer la fréquence.</p> <p>Activité 11. Et vous, avec quelle fréquence pratiquez-vous vos loisirs préférés? Utilisez les adverbes de fréquence (souvent, jamais, parfois, etc.).</p> <p>Activité 12. Relie les antonymes.</p> <p>Activité 13. Phonétique.</p> <p>Écoute et répète, puis classe les mots dans le tableau : [y] « u » / [u] « ou » (Par ex. : Pour — utiliser – jouer – du — tu, etc.).</p>
	<p><b>ბიჯი 9.</b> თემატურ ტექსტზე დაფუძნებით ხდება მოსწავლის ენობრივი: ფონეტიკური (Activité 13), ლექსიკური (Activités 6, 8, 9, 12), გრამატიკული (Activités 1-5, 7, 10, 11) უნარების განვითარება და ახალი ენობრივი მასალის ათვისება სხვადასხვა ენობრივი აქტივობით.</p> <p><b>სწავლის სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ინდუქციური მიდგომა</b> - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა.</li> <li>• <b>დედუქციური მიდგომა</b> - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში.</li> <li>• <b>პარალელუბის გავლება მშობლიურ ან სხვა ენასთან</b> - ნიშანდობლივი ენათმორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად.</li> <li>• <b>დამახსოვრების ხერხების გამოყენება</b> - მაგ., რამდენჯერმე გადაწერა ან ხმამაღლა გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა/გამოყენება, ასოცირება, ჩანიშვნების გაკეთება და სხვ.</li> </ul>

<b>ლაპარაკი</b>	
<p><b>საკვანძო შეკითხვები:</b></p> <p>როგორ მოვიქცე იმისთვის, რომ შევძლო გართობის თემაზე ზეპირი საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი სტრატეგიებზე დაფიქრება?</p>	
<b>ბიჯები და სწავლის სტრატეგიები</b>	
	<b>ფაზა: მომზადება ზეპირი კომუნიკაციისთვის</b>

**ზეპირი მეტყველების სტრატეგიები:**

საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების განსაზღვრა (მიზანი, აუდიტორია);

**საჭირო ცოდნის მობილიზება;**

**რეპეტიციის გავლა;**

**პარაფრაზირება.**

**საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო გართობის თემაზე ზეპირი კომუნაკაციისთვის?**

Activité 1. Observe les photos des ados et dis quelles activités ils font quand ils sont libres?

Activité 2. Écoute l'interview et prépare des questions sur les activités de loisirs. Pose-les à tes camarades!

Activité 3. Observe le tableau et présente les activités préférées des ados français selon l'âge (en %).

	11 ans	13 ans	15 ans	17 ans
Faire du sport	57	64	71	70
Pratiquer une activité artistique	36	38	40	44
Jouer à des jeux vidéo	22	31	38	45
Écouter de la musique	20	25	33	40
Utiliser un ordinateur	12	18	21	20
Regarder la télévision	8	12	17	22
Écouter la radio	8	17	18	21

Source : Département des études de la prospective et des statistiques, ministère de la Culture, 2010.

**ბიჯი 1.** მოსწავლემ ნებისმიერი დავალების შესრულებისას ნათლად უნდა გაიაზროს მისი მოთხოვნები და, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი დაზუსტებები.

**ბიჯი 2.** ლაპარაკის დაწყებამდე საჭიროა საკომუნიკაციო სიტუაციის ელემენტების (თემა, მიზანი, ადრესატი/აუდიტორია, კონტექსტი, ტექსტის ტიპი) დაზუსტება და შესაბამისი ენობრივი რესურსების მობილიზება (Activité 1, 2).

**ბიჯი 3.** აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე მოსწავლემ უნდა შეიმუშაოს გეგმა და გაიაროს რეპეტიცია (Activité 2, 3).

**სწავლის სტრატეგიები**

- **ცოდნის მობილიზება** - საჭირო ენობრივი რესურსების (შესიტყვებების, კლიშეების, საკვანძო სიტყვების, ფუნქციური სამეტყველო მოქმედებების, გრამატიკული ფორმების) გახსენება და/ან მოძიება და ჩანიშვნა. საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება-ჩანიშვნა;
- **გეგმის მომზადება** (პრეზენტაციის შემთხვევაში - საპრეზენტაციო მასალის);
- **რეპეტიციის გავლა** - წარმოთქმის, ინტონაციის, თავისუფლად მეტყველების უნარის გასავარჯიშებლად, ღელვის შესამცირებლად;

	ვარჯიშისას ხმის, არავერბალური ელემენტების - სახის გამომეტყველების, შესტიკულაციის გაკონტროლება.
პარაფრაზირება;	<b>ფაზა: ზეპირი კომუნიკაციისას</b>
საკომპენსაციო საშუალებები;	<b>საკვანძო შეკითხვა:</b> რომელი სტრატეგიები გამოვიყენო გართობის თემაზე ზეპირი კომუნიკაციის ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?
სოციოკულტურული თავისებურებები.	<p>Activité 1. Sondage dans la classe. Observe le tableau des loisirs des ados français et demande à tes camarades de les classer par ordre de préférence. Ils peuvent en ajouter d'autres. Puis présente les résultats devant la classe.</p> <p>Activité 2. Observe le tableau des activités de loisirs des ados français et raconte si tu es comme les ados français ou tu as des activités différentes.</p> <p>Activité 3. Raconte avec quelle fréquence tu pratiques tes activités de loisirs préférées.</p> <p>Activité 4. Les ados de votre pays, quels sports et activités pratiquent-ils?</p> <p>Activité 5. Jeu de rôle: Préparez et jouez une interview avec un sportif célèbre sur ses loisirs et ses passions.</p>
	<p><b>ბიჯი 4.</b> გამოსვლა აუდიტორიის წინაშე (Activités 1-5);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>სტრატეგია - პარაფრაზირება</b> - საუბრის დროს სიტყვის დავიწყების/ არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (მაგ., შესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა) გამოყენება.</li> </ul>
მეტაკოგნიტური პაუზა	<b>ფაზა: ზეპირი კომუნიკაციის შემდეგ</b>
	<b>საკვანძო შეკითხვები:</b> რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით საკომუნიკაციო ამოცანა? რომელი სტრატეგიები გამოვიყენე? რამ შემაფერხა? როგორ გავაუმჯობესო ზეპირი მეტყველების უნარი? რამ შემიწყო წინსვლაში ხელი?
	<p>Activité 1. Remplis la fiche d'autoévaluation.</p> <p>Activité 2. Réponds aux questions: Est-ce que ce travail a été facile/difficile pour toi? Pourquoi? Comment surmontes-tu les difficultés? Il y a d'autres façons de faire? As-tu utilisé des mots sur le thème de loisirs? Lesquels? As-tu appris des choses nouvelles dans cette activité?</p>
	<b>ბიჯი 5.</b> მოსწავლე აფასებს საკუთარ გამოსვლას და აანალიზებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს (Activité 1).

	<p><b>ბიჯი 6.</b> მეტაკოგნიტური პაუზის დროს მოსწავლე ფიქრობს გამოყენებულ სტრატეგიებზე და ადგენს ზეპირი მეტყველების უნარების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმას (Activité 2).</p>
--	--

შეკითხვა	
<p>საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი</p>	<p><b>საკვანძო შეკითხვები:</b></p> <p>როგორ მოვიქცე გართობის თემაზე საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?</p> <hr/> <p>Que font les jeunes de leurs loisirs ?</p> <p style="text-align: right;"><i>Source : Sciences Humaines, N° 152 (version adaptée)</i></p> <p>L'enquête réalisée sur les loisirs culturels des enfants de 6-14 ans montre que ces jeunes aiment plutôt une «culture de chambre»: écouter de la musique et regarder la télévision.</p> <p>Mais les activités de loisirs diffèrent selon le sexe: les filles préfèrent lire et fréquenter les bibliothèques, écoutent de la musique ou la radio et pratiquent des activités artistiques. Les garçons privilégient le multimédia et les activités sportives.</p> <p>Les loisirs diffèrent aussi selon les groupes sociaux. Chez les enfants d'agriculteurs, par exemple, la télévision, l'ordinateur et les jeux vidéo sont rarement présents.</p> <p>L'analyse de l'enquête montre huit groupes culturels différents : les exclus qui ne pratiquent jamais les loisirs culturels (11 %); les fans de musique (14 %); les jeunes qui privilégient l'audiovisuel traditionnel (télévision, vidéo, DVD) et les jeux vidéo (16 %); les férus de médias traditionnels: télévision, musique et lecture (12 %); les férus de médias traditionnels, d'ordinateurs et de sorties (9 %); les jeunes qui aiment les loisirs culturels et sportifs (12 %); les adolescents qui préfèrent la télévision, l'ordinateur et les jeux vidéo représentent 15 % et, enfin, les jeunes qui privilégient les pratiques artistiques (11 %).</p> <p>L'analyse des loisirs culturels montre aussi qu'il y a un lien fort entre les activités de loisirs des enfants et de leurs parents. Les choix des parents sont souvent un modèle.</p> <p>Les activités médiatiques occupent donc une place centrale dans les loisirs des 6-14 ans mais les autres activités ne sont pas absentes et dépendent en général de leurs familles.</p>
	<p><b>ბიჯები და სწავლის სტრატეგიები</b></p>
<p>კითხვის წინარე სტრატეგიები</p>	<p><b>ფაზა:</b> შეკითხვამდე (Pré-lecture)</p>

	<b>საკვანძო შეკითხვა:</b> როგორ მოვემზადო ტექსტის წასაკითხად ?
<b>ვარაუდების გამოთქმა ტექსტის სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით;</b>	<p>Activité 1. Que font les personnages? Observe et décris les images.</p> <p>Activité 2. Lis le titre. Selon toi, de quoi va-t-on parler dans le texte?</p> <p>Activité 3. À ton avis, qu'est-ce qui intéresse les jeunes Français: Quelles sont leurs activités de loisirs? Où sortent-ils?</p>
<b>წინარე ცოდნის მობილიზება;</b>	<b>ბიჯი 1.</b> ნებისმიერი დავალების შესრულებამდე საჭიროა დავალების პირობის მოთხოვნათა ნათლად გააზრება-გაანალიზება და, საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა (Activités 1).
<b>საკვანძო სიტყვები.</b>	<p><b>ბიჯი 2.</b> წასაკითხი ტექსტის გაგების პროცესის ხელშესაწყობად საჭიროა მოსწავლის წინასწარ მომზადება, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, საჭირო ენობრივი ცოდნის გააქტიურებასა და მობილიზებას, მეორე მხრივ, მის დაინტერესებას მოტივაციის გაზრდის მიზნით. მოსწავლე სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის თემისა და შინაარსის შესახებ (Activité 2) და კითხვა-პასუხის საშუალებით ხდება თემასთან დაკავშირებული მისი ცოდნისა და გამოცდილების მობილიზება (Activité 3). ხოლო ილუსტრაციების აღწერა მას დაეხმარება გართობის თემაზე ტექსტის გაგებისთვის საჭირო ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების გახსენება-გააქტიურებასა და უცხო საკვანძო სიტყვების დამუშავებაში (Activité 1).</p> <p><b>კითხვის წინარე სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე. ტექსტის სტრუქტურაზე დაყრდნობით);</li> <li>• ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება;</li> <li>• თუ ტექსტი მოსწავლეთა ენის ცოდნის დონესთან შედარებით რთულია, ტექსტის გაგებისათვის საჭირო საკვანძო სიტყვების/შესიტყვებების ენობრივ ფორმების დამუშავება.</li> </ul>
	<p><b>ფაზა:</b> კითხვის დროს (შინაარსის კონსტრუირების პროცესი) (Pendant la lecture)</p> <p><b>საკვანძო შეკითხვები:</b> როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიაღვილო ტექსტის გაგება?</p>
<b>ტექსტის ტიპი;</b>	<p>Activité 1. Lis le texte. De quel type de document s'agit-il ? (a. dialogue, b. enquête, c. affiche)</p> <p>Activité 2. Dis de quoi on parle dans le texte.</p>



<p>ტექსტის სტრუქტურა;</p> <p>სიტუაციური მახასიათებლები (კომუნიკაციის მიზანი, მონაწილეები, ავტორი);</p> <p>კითხვის სტრატეგიები:</p> <p>გაცნობითი კითხვა;</p>	<p>Activité 3. Vérifie tes hypothèses initiales si elles sont correctes.</p> <p>Activité 4. Trouve et souligne les mots-clés. Écris-les au tableau ou dans ton cahier.</p> <p>Activité 5. Lis le texte et réponds aux questions: <i>Il y a combien de groupes culturels des adolescents? Est-ce que les loisirs diffèrent selon le sexe et les groupes sociaux des adolescents? Quelles activités occupent une place centrale dans les loisirs des 6-14 ans? De quoi dépendent les activités des adolescents?</i> Comparez les réponses à deux et justifiez-les.</p> <p>Activité 6. Entoure la bonne réponse (QCM).</p> <p>Activité 7. Lis le texte et réponds: vrai ou faux? Justifie tes réponses.</p> <p>Activité 8. Observe le pourcentage dans le texte: combien de jeunes aiment les loisirs culturels et sportifs? l’audiovisuel traditionnel? la télévision, l’ordinateur et les jeux vidéo? les pratiques artistiques?</p> <p>Activité 9. Lis le texte et trouve les mots inconnus. Écris-les au tableau et essaie de deviner leur sens.</p> <p>Activité 10. Trouve le mot « dépendre » dans le dictionnaire.</p> <p>Activité 11. Note les verbes qui expriment le goût et les préférences des adolescents français.</p> <p>Activité 12. Lis le texte et entoure les activités de loisirs.</p> <p>Activité 13. Complète le texte à trous avec les activités de loisirs.</p> <p>Activité 14. Pose des questions à tes camarades sur leurs activités de loisirs.</p> <p>Activité 15. Lisez le texte à haute voix, chacun votre tour (correction phonétique).</p> <p>Activité 16. À l’aide de mots-clés résume le texte.</p>
<p>შესწავლითი კითხვა;</p> <p>გამოცნობა.</p>	<p><b>ბიჯი 3.</b> მოსწავლე პირველად კითხულობს ტექსტს ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით. ამ მიზნით იგი ყურადღებას ამახვილებს ტექსტის ტიპზე, მის სტრუქტურაზე, საკვანძო სიტყვებსა და სათაურის მიხედვით გამოთქმული ვარაუდის სისწორეზე (Activité 1-4);</p> <p><b>სწავლის სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ყურადღების მიმართვა ტექსტის სტრუქტურაზე, მის მორგანიზებულ სიტყვიერ და არასიტყვიერ ელემენტებზე; სათაურის/ქვესათაურების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აბზაცების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვით და მათზე დაყრდნობით შინაარსზე წარმოდგენის შექმნა.</li> </ul>

	<p><b>ბიჯი 4.</b> ტექსტის შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის მოსწავლე რამდენჯერმე კითხულობს მას და ასრულებს სხვადასხვა აქტივობას: სვამს და პასუხობს შეკითხვებს (Activités 5, 6, 7, 8, 14); უბრუნდება გაუგებარ მონაკვეთებს, ამოწერს უცნობ სიტყვებს და კონტექსტის, ნაცნობი ან გამჭვირვალე სიტყვების დახმარებით ამოიცნობს მათ მნიშვნელობას (Activité 9); საჭიროების შემთხვევაში იყენებს ლექსიკონს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად (Activité 10); აჯგუფებს სიტყვებსა და გამოთქმებს მათი მნიშვნელობების მიხედვით (Activités 11, 12, 13); ხმამაღლა კითხულობს ტექსტს (Activité 15) და აჯამებს მას (Activité 16).</p> <p><b>შესწავლითი კითხვის სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე;</li> <li>• გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება;</li> <li>• მონაკვეთების, ეპიზოდების წარმოდგენაში გაცოცხლება;</li> <li>• გამოცნობა - უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობა ნაცნობი ელემენტების (<i>ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტის, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების და სხვ.</i>) დახმარებით.</li> <li>• უცნობი სიტყვების ამოწერა და ლექსიკონში ნახვა;</li> <li>• კითხვების დასმა;</li> <li>• ტექსტის მომდევნო მონაკვეთის შინაარსის განჭვრეტა;</li> <li>• ინფორმაციის დაჯგუფება სხვადასხვა ხერხის (<i>სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, მათემატიკური გრაფიკის</i>) გამოყენებით;</li> <li>• ტექსტის მონაკვეთის, აზრის შეჯამება.</li> </ul>
<p><b>კითხვის სტრატეგიები:</b></p>	<p><b>ფაზა: კითხვის შემდეგ (Post-lecture)</b></p> <p><b>საკვანძო შეკითხვები:</b> როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას? რამ შემაფარხა გაგების პროცესში? რატომ ვერ გადავჭერი საკითხავი ამოცანა? როგორ უნდა გადაემეჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი წარმატებით საკითხავი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში?</p>
<p><b>სწავლის პროცესის მართვა (მეტაკოგნიტური სტრატეგიები)</b>_</p>	<p>Activité 1. Retrouve la phrase qui résume le mieux le document parmi les phrases suivantes.</p> <p>Activité 2. Résume le texte et parle des activités de loisirs préférées des adolescents français.</p> <p>Activité 3. Raconte à ton camarade ce que tu as appris des loisirs des adolescents français.</p> <p>Activité 4. Remplis la fiche d'autoévaluation.</p> <p>Activité 5. Réponds aux questions : Qu'est-ce qui a été facile/difficile pour toi dans ce texte? Pourquoi? Comment tu peux surmonter les difficultés? Qu'est-ce qu'il faut</p>

	<p>améliorer pour mieux comprendre le texte écrit ? Est-ce qu'il y a d'autres façons de faire? As-tu appris des choses nouvelles?</p> <p><b>ბიჯი 5.</b> ტექსტის გაგების გადასამოწმებლად მოსწავლე რეფორმულირებას უკეთებს ფრაზებს, აზუსტებს ინფორმაციას და გადმოსცემს ტექსტის მოკლე შინაარსს (Activités 1, 2).</p> <p><b>ბიჯი 6.</b> მოსწავლე წაკითხულს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას და საუბრობს თავისუფალ დროს საკუთარი და მეგობრების საქმიანობის შესახებ (Activité 3).</p> <p><b>ბიჯი 7.</b> დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლე უნდა დაფიქრდეს და შეაფასოს, რამდენად შედეგიანი იყო მისი საქმიანობა (Activité 4). მან უნდა გააცნობიეროს, რამ შეუშალა ხელი, რა დაეხმარა ტექსტის შინაარსის გაგებაში, რათა მომავალში გაითვალისწინოს დაშვებული შეცდომები და უფრო ეფექტიანი მიდგომები გამოიყენოს უცხო ტექსტზე მუშაობისას (Activité 5).</p> <p><b>სწავლის სტრატეგიები:</b></p> <p><b>დაფიქრება სწავლის პროცესზე (მეტაკოგნიტური პაუზა):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;</li> <li>• სწავლის პროცესზე დაფიქრება-რეფლექსია, შემაფერხებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება;</li> <li>• გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/ მითითება.</li> </ul>
	<p><b>ფაზა: გადასვლა რეცეფციიდან პროდუცირებისაკენ (De la réception à la production)</b></p> <p><b>საკვანძო შეკითხვები:</b> როგორ მოვიქცე ენობრივი მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?</p>
<p><b>სტრატეგიები გრამატიკის შესასწავლად:</b></p> <p><b>დედუქცია;</b></p> <p><b>ინდუქცია;</b></p>	<p>Activité 1. Souligne dans le texte les verbes qui expriment les goûts et les préférences.</p> <p>Activité 2. Complète les phrases avec le verbe «préférer» au présent.</p> <p>Activité 3. Complète le texte avec les verbes qui conviennent.</p> <p>Activité 4. Souligne les mots transparents.</p> <p>Activité 5. Relève tous les mots qui concernent le thème de loisirs.</p> <p>Activité 6. Trouve les antonymes des mots donnés.</p> <p>Activité 7. Remplace les mots soulignés par leurs synonymes.</p>

<p>სინონიმი; ანტონიმი;</p>	<p>Activité 8. Relie les mots de la même famille (a. différent – lire – sortir – présent – choix –préférence; b. différer – préférer – représenter – sortie – lecture -choisir).</p>
<p>გამოცნობა.</p>	<p><b>ბიჯი 8. გარდამავალი ბიჯი წერისაკენ</b> - რეცეფციიდან პროდუცირებისკენ გარდამავალ ეტაპზე ტექსტის ახალი ენობრივი მასალის გაგება-გამოყენების მიზნით მოსწავლე ასრულებს სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებს. იგი ტექსტში ამოკრებს და შინაარსის მიხედვით აჯგუფებს გართობისა და მოწონების აღმნიშვნელ ზმნებსა და არსებით სახელებს (Activités 1, 5); კონტექსტში სვამს სიტყვებს (Activité 3); მშობლიური ენის დახმარებით ამოიცნობს გამჭვირვალე სიტყვების მნიშვნელობას (Activité 4); ერთმანეთთან აკავშირებს ანტონიმიური და სინონიმიური მნიშვნელობის მქონე წყვილებს (Activité 6, 7); საერთო ფუძის დახმარებით ამოიცნობს მონათესავე სიტყვების მნიშვნელობას (Activité 8); კონკრეტულ ფრაზებში იყენებს ზმნა préférer-ს აწმყო დროში (Activité 1).</p> <p><b>სწავლის სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება</b> - (რამდენჯერმე გადაწერა, პერიოდული გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა, რაიმესთან ასოცირება და სხვ.);</li> <li>• <b>პარალელების გავლება მშობლიურ ან სხვა ენასთან</b> - ნიშანდობლივი ენათმორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად;</li> <li>• <b>დედუქცია</b> - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში;</li> <li>• <b>ინდუქცია</b> - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა;</li> <li>• <b>დამხმარე რესურსების შექმნა-გამოყენება</b> (მაგ., გრამატიკული ცნობარი, სტრუქტურული მოდელები).</li> </ul>

<p><b>წერა</b></p>	
<p>საკვანძო შეკითხვები:</p>	<p>როგორ მოვიქცე იმისთვის, რომ შევძლო წერილობითი ტექსტის შექმნა? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტიური სტრატეგიები?</p>
<p>ბიჯები და სწავლის სტრატეგიები</p>	
<p>ფაზა: წერის წინა სამზადისი</p>	<p>საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო წერითი ამოცანის გადასაჭრელად?</p>

<p><b>წერის წინარე სტრატეგიები:</b></p> <p><b>საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა;</b></p>	<p>Activité 1. Fais le sondage sur les loisirs préférés de tes camarades et présente les résultats dans le journal de classe.</p> <p>Activité 1.1. Relis les mots-clés pour te rappeler le vocabulaire de loisirs.</p> <p>Activité 1.2. Fais le remue-méninge et rassemble les idées sur les activités de loisirs.</p> <p>Activité 1.3. Dresse une liste d'activités-clés et prépare des questions.</p> <p>Activité 1.4. Analyse les réponses et fais le plan.</p>
<p><b>იდეების გენერირება;</b></p> <p><b>ცოდნის მობილიზება;</b></p> <p><b>იდეების დაჯგუფება;</b></p> <p><b>ნამუშევრის გეგმა.</b></p>	<p><b>ბიჯი 1.</b> წერით აქტივობებს ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი უძღვის წინ. თემასთან დაკავშირებული საკვანძო ლექსიკის, ენობრივი ფორმულებისა და სტრუქტურების მობილიზების საფუძველზე (Activité 1.1.) მოსწავლე განსაზღვრავს წერის მიზანსა და ადრესატს, შეარჩევს ტექსტის სახეობას და ახდენს იდეების გენერირებას გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით (Activité 1.2.). შემდეგ მოძიებს დამატებით ინფორმაციას, აანალიზებს პასუხებს, ახარისხებს და აჯგუფებს იდეებს (Activité 1.3.).</p> <p><b>წერის წინარე სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა</b> - წერის მიზნისა და ადრესატის განსაზღვრა, თემისა და ტექსტის სახეობის შერჩევა.</li> <li>• <b>იდეების გენერირება</b> - იდეების მოფიქრება-ჩამოყრა.</li> <li>• <b>ცოდნის მობილიზება/თავმოყრა</b> - საჭირო ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული და სხვ.) გონებაში მოძიება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება სათანადო რესურსებში.</li> <li>• <b>იდეების დაჯგუფება</b> - იდეების დახარისხება, ურთიერთდაკავშირება მაორგანიზებელი სქემების გამოყენებით.</li> <li>• <b>დამხმარე რესურსების მობილიზება</b> - სტრუქტურული მოდელი, საკვანძო სიტყვები, გრამატიკული ცნობარი, დახარისხებული ლექსიკური ერთეულები, ჩანიშვნები).</li> </ul> <p><b>ბიჯი 2.</b> მოსწავლე ადგენს გეგმას დაჯგუფებულ იდეებზე დაყრდნობით (Activité 1.4.).</p>
	<p><b>ფაზა: წერის დროს</b></p> <p><b>საკვანძო შეკითხვა:</b> როგორ მოვიქცე წერითი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?</p>
<p><b>წერის</b></p>	<p>Activité 1. Fais un sondage.</p>

<p>სტრატეგიები:</p> <p>პირველადი ვარიანტი;</p> <p>სოციოკულტურული თავისებურებები.</p>	<p>d. Par groupe de quatre, recopiez le tableau suivant avec les activités que vous aimez pratiquer.</p> <table border="1" data-bbox="488 218 1430 651"> <thead> <tr> <th>Activités</th> <th>Garçons</th> <th>Filles</th> <th>Total</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>Jouer au basket</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>Jouer aux jeux vidéo</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>Écouter de la musique</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>Regarder la télé</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>.....</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table> <p>e. Posez-vous des questions et complétez le tableau.</p> <p>Exemple: Qu'est-ce que tu fais quand tu es libre ?</p> <p>f. Comparez vos réponses avec la classe, rédigez et présentez par écrit les résultats: quelles sont les activités préférées des filles ? des garçons ?</p> <p>Activité 2. Écrivez sur le forum pour dire quelles sont vos activités de loisirs préférées et celles des ados français.</p> <p>Activité 3. Projet: Parle de ton passe-temps favori sur le blog de ta classe/ton école.</p> <p><b>ბიჯი 3.</b> მოსწავლე ადგენს პირველად ვარიანტს გეგმაზე დაყრდნობით (Activités 1, 2, 3).</p>	Activités	Garçons	Filles	Total	Jouer au basket				Jouer aux jeux vidéo				Écouter de la musique				Regarder la télé				.....			
Activités	Garçons	Filles	Total																						
Jouer au basket																									
Jouer aux jeux vidéo																									
Écouter de la musique																									
Regarder la télé																									
.....																									
	<p><b>ფაზა: წერის შემდეგ</b></p> <p><b>საკვანძო შეკითხვები:</b> რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით წერითი ამოცანა? რომელი სტრატეგიები გამოვიყენე? რამ შემაფერხა? რამ შემიწყო ხელი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში? როგორ გავიუმჯობესო წერითი მეტყველების უნარი?</p>																								
<p>წერის სტრატეგიები:</p>	<p>Activité 1. Révise le texte et améliore-le à partir d'une grille d'autoévaluation.</p> <p>Activité 2. Vérifie l'accord des noms, des adjectifs et des déterminants.</p> <p>Activité 3. Vérifie l'accord des verbes avec le sujet.</p> <p>Activité 4. Utilise des signes de ponctuation appropriés.</p> <p>Activité 5. Consulte le dictionnaire et vérifie l'orthographe des mots difficiles.</p>																								

<p><b>საბოლოო ვარიანტი.</b></p>	<p>Activité 6. Choisissez la façon de diffuser ton texte.</p> <p>Activité 7. Réponds aux questions: Qu'est-ce qui a été facile/difficile pour toi? Qu'est-ce qui t'a aidé à faire la tâche? As-tu fais attention aux mots-clés? Comment tu peux améliorer ton texte? Aimes-tu faire ce type d'activité? Pourquoi? As-tu appris des choses nouvelles dans cette activité?</p> <p><b>ბიჯი 4.</b> მოსწავლე აუმჯობესებს პირველად ვარიანტს: მკითხველის თვალთაშუაშვით აფასებს ნაწერს (Activité 1) და ასწორებს გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს (Activités 2-5).</p> <p><b>სწავლის სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნაწერის პოტენციური მკითხველის თვალთაშუაშვით შეფასება;</li> <li>• შინაარსობრივი, სტრუქტურული შესწორებების შეტანა;</li> <li>• გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება დამხმარე რესურსების და ისტ-ის გამოყენებით;</li> </ul> <p><b>ბიჯი 5.</b> მოსწავლე შეიმუშავებს და აფორმებს ნაწერის საბოლოო ვარიანტს და აქვეყნებს კლასის/სკოლის ბლოგზე (Activité 6); ანალიზებს საკუთარ საქმიანობას, ხელშემწყობ და შემაფერხებელ პირობებს და სახავს ხარვეზების გამოსწორების გზებს (Activité 7).</p>										
	<p><b>თემის შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალება შესაბამისი შეფასების რუბრიკით</b></p>										
	<p>Activité 1. Faites une interview.</p> <p>a. Vous êtes journaliste. Par deux, choisissez un sportif célèbre et imaginez les questions que vous pouvez lui poser sur ses goûts et ses préférences.</p> <p>b. Jouez l'interview devant la classe: un élève joue le rôle du journaliste, l'autre celui du sportif.</p> <p>Vous pouvez trouver des informations sur votre sportif préféré sur Internet.</p> <p><b>შეფასების რუბრიკა:</b></p> <table border="1" data-bbox="472 1440 1487 1797"> <thead> <tr> <th></th> <th>Points</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td><b>Respect de la consigne</b></td> <td></td> </tr> <tr> <td>Met en adéquation sa production avec la situation proposée.</td> <td><b>0 - 1</b></td> </tr> <tr> <td><b>Compétence communicative</b></td> <td></td> </tr> <tr> <td>Se présente, salue et prend congé.</td> <td><b>0 - 1</b></td> </tr> </tbody> </table>		Points	<b>Respect de la consigne</b>		Met en adéquation sa production avec la situation proposée.	<b>0 - 1</b>	<b>Compétence communicative</b>		Se présente, salue et prend congé.	<b>0 - 1</b>
	Points										
<b>Respect de la consigne</b>											
Met en adéquation sa production avec la situation proposée.	<b>0 - 1</b>										
<b>Compétence communicative</b>											
Se présente, salue et prend congé.	<b>0 - 1</b>										

	Demande et donne des informations sur les goûts et les préférences d'un sportif célèbre.	0 - 2
	Utilise les formules de politesse élémentaires.	0 - 1
	<b>Compétence linguistique</b>	
	Possède un vocabulaire suffisant sur les activités de loisirs pour s'exprimer.	0 - 2
	Utilise correctement des phrases et des structures simples.	0 - 2
	Prononce de façon suffisamment claire.	0 - 1
	<b>Note totale: 10</b>	